თერჯოლის მუნიციპალიტეტის
გენდერული თანასწორობის საბჭოს
სხდომის ოქმი N1

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

31 მარტი 2023 წელი

2023 წლის 31 მარტს გაიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მორიგი სხდომა განახლებული შემადგენლობით.

სხდომას უძღვებოდა: გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო ჩხიკვაძე, **სხდომას ესწრებოდნენ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები:**

1.ნინო დოლაკიძე 2. დავით გოგბერაშვილი 3. ნინო ოქრუაძე 4. ხათუნა ნიკოლაძე 5. ჯემალი ისაკაძე 6. რუსუდან კოვზირიძე 7. მარიამ ქველიძე 8. ეკა ბერძენიშვილი 9. თამარ ახვლედიანი 10. ნინო მახათაძე 11. ნატალია ასათიანი 12. დიანა ფოცხველაშვილი 13. მაკა ასათიანი 14. მარი ლილუაშვილი 15. ნათია სახეჩიძე 16. მაია თორთლაძე 17. ქეთევან შეყრილაძე 18. ნინო ჩხიკვაძე

სხდომას არ ესწრებოდა: გიორგი ბარათაშვილი, ბიძინა ბუცხრიკიძე, ბადრი ბუცხრიკიძე, თემურ ქოჩიაშვილი, გრიგოლ გიორგაძე, ალექსანდრე ზანკალიანი, შალვა ჭანკვეტაძე, გოჩა ვერულაშვილი, კახა ბუცხრიკიძე, ელისო მურადაშვილი, იზა მაგრაქველიძე, ლაშა ლანჩავა.

მოწვეული სტუმარი: გურამი თურქაძე - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღანელი

საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობა: 31 წევრი.
დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა: 18 წევრი.

სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარის მოადგილემ **ნინო ჩხიკვაძემ** საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

,, ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისათვის - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი კონკურსი ,,საპროექტო იდეები" - საგრანტო კონკურსის განხილვა

/მომხსენებელი: ნინო ჩხიკვაძე/

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით

გენდერული თანასწორობის საბჭო უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

1. **მოისმინეს:** მომხსენებელმა ნინო ჩხიკვაძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი, რომელიც ეხება საგრანტო კონკურსში მონაწილეობას საპროექტო იდეით - სოფელ ჩხარი-გოგნის ტერიტორიაზე ტურისტული გადმოსახედის მოწყობას.

   საკითხის უკეთ გაცნობის მიზნით აღნიშნული პროექტის შესახებ ისაუბრა გურამ თურქაძემ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღანელმა.
   ევროკავშირის დაფინანსებით გამოცხადდა კონკურსი „საპროექტო იდეები", რომლის ძირითადი მიმართულება ურბანული განვითარება, ტურიზმის განვითარება, ეკონომიკური განვითარება, შემოსავლებისა და ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდა. ამ პროექტის ფარგლებში გაჩნდა იდეა რომ სოფელ გოგნის ტერიტორიაზე მოვაწყოთ ტურისტული გადმოსახედი, რომელსაც ექნება ტურისტული საგანმანათლებლო და ეკონომიკური დანიშნულება.
   მოგეხსენებათ, რომ სოფელი გოგნი თავისი მდებარეობით საკმაოდ საინტერესო პანორამით გამოირჩევა, ადგილი რომელიც შევარჩიეთ გამოირჩევა ამ მიმართულებით. ვაპირებთ ამ სივრცეში მოეწყოს საკონფერენციო შეხვედრები, ადგილობრივმა მოსახლეობამ გამოიტანოს საკუთარი პროდუქცია, განვითარდეს საცხენოსნო მიმართულება, ახლადდაქორწინებულ წყვილებს საშუალება ექნებათ ლამაზი ხემოწერის ცერემონია მოაწყონ, ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ტურისტული და ეკონომიკური მიმართულების განვითარებას.

აზრი გამოთქვეს: რუსუდან კოვზირიძემ, ნატალია ასათიანმა, დავით გოგბერაშვილმა, ქეთევან შეყრილაძემ.

რუსუდან კოვზირიძე: აღნიშნა, რომ პროექტის იდეა მისაღებია, რადგან მოიცავს სხვადასხვა მიმართულებით განვითრების საშუალებას, სოფელი გოგნი გამორჩეულია ისტორიული წარსულით და რელიგიური დატვირთვით. კიდევ ერთი გამორჩეული ტურისტული ადგილი შეემატება სოფელ გოგნს. მნიშვნელოვანი საცხენოსნო მიმართულების განვითარება, ტურისტებს ეძლევათ საშუალება მოინახულონ ტურისტული ადგილები.

ქეთევან შეყრილაძე დაინტერესდა თუ არსებობდა მოცემულ მომენტში არქიტექტორული პროექტი. პროექტის განხორციელბის შემთხვევაში შესაძლებლობა ექნებათ სკოლებს ღია საგაკვეთილო პროცესები განახორციელონ, უკეთ გაეცნონ ადგილობრი ტურისტული მიმართულების სფეროებს.

გადაწყვიტეს: საბჭოს წევრებმა ერთხმად მხარი დაუჭირეს „საპროექტო იდეების" საგრანტო კონკურსში მონაწილეობას და აღნიშნული საპროექტო იდეის წარდგენას.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მ/შ
ნინო ჩხიკვაძე

გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი

ნინო დოლაკიძე